განკარგულება:**g-81.8122124001**
თარიღი:**04/05/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №23

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,დ.ა“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და ,,საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის‘‘ 85-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ მიღებულ იქნას ცნობად. /დანართი №1 და №2 თან ერთვის/.

2. ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიამ დააწესოს მკაცრი კონტროლი ბიუჯეტის ყოველკვარტლური გეგმის შესრულებაზე.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს:

ა) სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსების სრულად განხორციელებას.

ბ) სოფლის მხარდაჭერის პროექტებით გამოყოფილი თანხის დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის მიზნით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი